

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №4

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

13. 04.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -**ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: გრიგოლ მატარაძე, გელა ჩიკვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი- **კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 14-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 13 აპრილის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1., მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს. გიორგი ივანიაძე

2. სსიპ „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალომინაოს საჯარო სკოლისათვის“ აკადემიკოს კონსტანტინე დავითის ძე ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. გიორგი ივანიაძე

3.საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, მარტის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

მომხს. გელა ჩიკვაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხს: მამუკა ნამიჭეშვილი

5. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;

მომხს. ივანე მამაფორია

7. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

მომხს. დავით გაბუნია

8. ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

მომხს. ივანე მამაფორია

9. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

მომხს. თამარ ადეიშვილი.

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გიორგი ივანიაძე

11. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ დადგენილებაზე მთავრობის ადმინისტრაციიდან მოვიდა სამართლებრივი შენიშვნა. კერძოდ, ითხოვენ დადგენილებაში შეიტანონ ცვლილება და დაკონკრეტდეს თარიღები, როდის გაიცემა ეს წახალისება. გათვალისწინებული იქნა ეს შენიშვნა, შეიცვალა დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და დადგენილება წარმოადგინა ახალი რედაქციით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა სსიპ „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალომინაოს საჯარო სკოლისათვის“ აკადემიკოს კონსტანტინე დავითის ძე ერისთავის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სალომინაოს სკოლის სამეურვეო საბჭოდან შემოსულია განცხადება. მომზადებულია ყველა პროცედურული საკითხი და ითხოვენ თანხმობას, რომ სკოლას მიენიჭოს აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის სახელი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ (გელა ჩიკვაიძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო)წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 4 აპრილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მარტის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ 675 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ 2022 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეირჩა 64 პროექტი ღირებულებით 580000 ათასი ლარი და წარმოადგინა ეს პროექტები. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს პროექტები შერჩეულია მოსახლეობასთან შეხვედრების და მათი მოწონების მიხედვით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.“

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;“ მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ :

ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობები განისაზღვრა - 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელები - 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება განისაზღვრა 700,0 ათასი ლარის ოდენობით. 2021 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცხრაჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 16518,0 ათასი ლარის, გადასახდელები 17784,7 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის მოცულობით.

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 16368,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 16523,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,0% -ს შეადგენს.

გადასახადების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 6652,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 6974,5 ათასი ლარი წლიური გეგმის 104,8% -ია.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნია წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური შედგება 5 განყოფილებისაგან. სამსახურში სამტატო ნუსხით გათვალისწინებულია 20 სამტატო ერთეული და დასაქმებულია 20 თანამშრომელი. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 21 მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში და 40 მერის წარმომადგენლის ასისტენტი.

2021 წელს მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 53 განცხადება, დაკმაყოფილდა 53. 2021 წელს საჯარო მოსამსახურეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ქონია. (ვრცლად ანგარიში დანართი N2)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური არის ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, მიღებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. შედგება ორი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან: საბიუჯეტო დაგეგმარების და საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებებისაგან. სტრუქტურა განსაზღვრულია 8 სამტატო და 1 შტაგარეშე ერთეულით. საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა 2021 წლის განმავლობაში მიიღო 3245 კორესპონდენცია. აღნიშნული კორესპონდენციიდან 1154 წარმოადგენდა სამართლებრივ აქტს, ხოლო 2091 სხვა სახის დავალებას.

წლის განმავლობაში მომზადდა ბიუჯეტის შესრულების 3 კვარტლური და 1 წლიური ანგარიში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-9 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თამარ ადეიშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წელში განსაზღვრული იყო ოთხი აუდიტორული შემოწმების განხორციელება. კერძოდ,

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერია-„საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამის კოდი 02 01)
2. ა (ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანება
3. სოციალური დაცვა(პროგრამის კოდი 06 02)
4. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამის კოდი 04 03)

შიდა აუდიტის სამსახურმა დაიწყო 2021 წელში გაგემით გათვალისწინებული, ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების შესაბამისობის აუდიტის ჩატარებისათვის დაგეგმვის ეტაპი. მაგრამ ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ (კორონავირუსის გავრცელებამ) ხელი შეუშალა როგორც ამ აუდიტის ისე გაგემით გათვალისწინებული სხვა აუდიტორიულ შემოწმების განხორციელებას. (ვრცლად ანგარიში დანართი N3).

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს მე-2 კვარტლის განსახილველი და მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები და მოსასმენენი და განსახილველი ანგარიშები.

მისაღები ნორმატიული აქტების პროექტებია;

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ.
3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოსამენი და განსახილველი საკითხებია:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ინფორმაციის მოსმენა განსახორციელებელი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.
2. მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის განხილვა 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
5. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2021 წელს განხორციელებული საქმიანობისა და ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინორმაციის მოსმენა.
6. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა.
7. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეათე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს საკრებულოს 2022 წლის მე-2 კვარტლის სამუშაო გეგმა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 13 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

(დანართი N5)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე